საქართველო

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება №32

2010 წლის 5 ოქტომბერი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის თანდართული დებულება.
2. ამ დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის დებულების და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 ოქტომბრის №25 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი გოზალიშვილი/

დანართი

დამტკიცებულია ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ''ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 5 ოქტომბრის №32 დადგენილებით

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური (ტექსტში შემდგომ - სამსახური) არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფი განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

2. სამსახურს აქვს ბლანკი, შტამპი – შემოსული და გასული დოკუმენტებისათვის, მრგვალი ბეჭედი საკუთარი დასახელებით და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულებით.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'', საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ'', საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები, გამგეობის დებულება და ეს დებულება.

მუხლი 3. სამსახურის უფროსი

სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-14 მუხლით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე.

მუხლი 4. სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) წინადადებებისა და კონცეფციების შემუშავებას; კულტურის, სპორტის, საგანმანათლებლო, სკოლის გარეშე და სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნას;

ბ) კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას, ხალხურ შემოქმედების, თეატრალურ, მუსიკალურ, მხატვრულ და ხელოვნების სხვა დარგების განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა დაგეგმვას;

გ) წინადადებების შემუშავებას, კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტული ორგანიზაციების შექმნაზე და რეორგანიზაციაზე;

დ) განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების მომზადებას და მათი განხორციელების კოორდინაციას;

ე) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლამდელი აღზრდის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, განათლებისა და სასპორტო ინფრასტრუქტურის

ობიექტების მოვლა-პატრონობას, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შესაბამის სამუშაოების დაგეგმავას და მათი განხორციელების კოორდინაციას;

ვ) ახალი სასწავლო წლისათვის და ზამთრის სეზონისათვის შესაბამის სამუშაოთა მომზადების ორგანიზება და კოორდინაცია;

ზ) სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების ექსპლუატაციისათვის სარეზერვო-სათადარიგო მასალების მოცულობის განსაზღვრას, მიმდინარე და სეზონური პროფილაქტიკური სამუშაოების დაგეგმვას;

თ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვების ორგანიზების კოორდინაციას; მათში მედპუნქტების ფუნქციონირების ხელშეწყობას;

ი) სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზებას; მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების კოორდინაციას;

კ) მუნიციპალურ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვას და პოპულარიზაციას, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფას, განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებასა და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობას.

ლ) განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინაციას;

მ) მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების, სააღმზრდელო დაწესებულებების, სტადიონების, სპორტული მოედნების, სპორტული კომპლექსების მუშაობის ორგანიზებას და მათ კოორდინაციას.

2. სამსახურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები;

გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგეგბლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 5. სამსახურის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების წესი

1.სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს, თანამდებობათა დასახელებას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად, ამტკიცებს საკრებულო.

2. სამსახურის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ ინსტრუქციებს გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.